

F 1

# ც ი ს კ ა რ ი

1862



ი ა ნ ჟ ა რ ი.

4

წალიწადი შაქქსე.

## წოდება თსზულებათა:

- I. — ირაკლი მეორის მეფობა საქს-  
რთქსლში. . . . . თ. ოძინ სერსეულიძის.
- II. — ლექსები სხვა და სხვა მწერლების.
- III. — ლატონტენი და ძუკე. . . . . გ. დიდბულიძის.
- IV. — წარმოება ანაგვს ერისთავთა, . . . . . ნ. ბარბარე ჯორჯაძის.
- V. — სიტყვა, თქმული ახალს წელიწადს. კაბდიელ ებნეკოზოზის.
- VI. — სხვა და სხვა ანბავი (ინილე მეორე გვერდზედ.)

## ც ფ ი ლ ი ს ს .

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.



# ც ი ს კ ა რ ი

ქ ა რ თ უ ლ ი

სალიტერატურო ჟურნალი

გამოიცემის ი. კერესელიძის-მიერ.

ი ა ნ ვ ა რ ი.

წელიწადი მეექვსე.

«თუ შეიყვარო სმენად,—მიითვალე, და  
უკეთუ მიუპყრა ყური შენი,—ბრძენ იქმნე.»  
(წიგ. ისლ ზირ. თავი 6. მუხ. 34.)

---

## ც ფ ი ლ ი ს ს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1862

Печатать позволяется. 26-го Декабря, 1861 года.  
Цензоръ Кантмазовъ.

---

ირაკლი მეორის მეფობა საქართველოში.

წელსა ჩღვბ, დაჯდა ეაენად მე შაჰ-სულტან უსეინისა შაჰ-თამაზ, და ამ ქამად იჯდა ქართლში მეფედ ვახტანგ ლეონის-მე, და კახეთში იჯდა მეფედ კოსტანტინე ირაკლის-მე, რომელსა ეწოდა საკელად მამად-ეული-ხან თათრობისა-გამო, განნა ესე ორნი მეფენი იეჟნენ სიუჟარულსა და ერთობასა ზედა ურთიერთისადმი. სოლო ოდეს სცნა ერთობა ამათი შაჰ-თამაზ, რომელსა არა მცირედ შეუძნდა ერთობა მათი, და განიზრახა მათშორის შთაგდება შურისა, რომლისათჳს მოსწერა და მოსცა მეფობა ქართლისა მამად-ეული-ხანს, და მოემცნო

მას ვინაჲდგან ხარ მასმადიანი, შენ ამის-  
 თჳს საწმუნოდ გრაცს და მეფეს ვასტანგს  
 ველარ ვენდობით, განაძე მეფე ვასტანგ  
 და ქართლი შენ დააჭირეო, და მოსცა ამის-  
 თჳს შემწედ განჯა, ვარაბალი და ერევანი  
 და ამის ძლით შემოიკრიბნა ამ ქუჭყენები-  
 დამ ჯარები და მოვიდა მეფე მამად-ეუ-  
 ლი-სან მასლობელ ტფილისისა ქალაქისა  
 სეიდაბათში, სადაცა გავიდა მეფე ვასტანგ,  
 შეება, და აოტა მამად-ეული-სან და წარ-  
 ვიდა მეოტი, გარნა არა ინება დაეოვნება  
 დრომსა, არამედ მასვე ჟამსა მეოტი მი-  
 ვიდა ჭარბი და შემოიკრიბნა ჭარელნი,  
 გაიმრავლა ჯარები, კვალად მოვიდა მეო-  
 რედ სეიდაბათში და გავიდა მეფე ვასტან-  
 გიცა, შეება, გარნა იძლივა მეფე ვასტანგ  
 მათგან და აღარა მოიქცა ტფილისად, არა-  
 მედ წარვიდა სემო ქართლს და მამად-  
 ეული სან შემოვიდა ტფილისს, და დაჯდა  
 მეფედ ბრძანებითა შაჳ-თაბაზისათა.

წელსა ჩღკკ, ხონთქრის სარასკარი მო-  
ვიდა ყარსსა და ამან შეიტყო ესე ვითა-  
რება ქართლისა და ნახა ქაძი მარჯუტ,  
რომლისათჳს მოსწერა მეფესა ვახტანგს:  
წარმოძვილნი ერთი ნათესავთა შენტავანი,  
და მე ვაოტო მახმად-ეული-ხან, და დავი-  
ტკიცო ქართლიო. და მეფემან წარუვლი-  
ნა ძმა თჳსი იესე, წამოემართა ყარსიდან  
სარასკარი ჯარით და მოვიდა შაშხიანს  
და კვალად მიაგება მე თჳსი ბაქარ, და  
წარმოემართა სარასკარი მუნიტვან, და და-  
იბანაკა ურეუთას, ხოლო სცნა რა ესე  
მახმად-ეული-ხან, რომელ არა აქჳს ჰირდა-  
ჰირი ძალი მისი, ამისთჳს მიეგება და მი-  
ართვა კლიტენი ცისე ქალაქისანი და ევე-  
დრა რა მიცემასა ქართლისასა და დავი-  
ტკიცებასა მეფობისასა; ხოლო მან არა  
ინება, დმ შეიპურა თხოვისაებრ ბაქარისათა  
და ჰატიმარ ჰყო იგი, ამასვე თჳსსა იჳნისს  
სარასკარი შემოვიდა ტფილსს, და

მისცეს მეფობა ბაქარს ქესა მეფისა ვახტანგისასა, და ვინაძოგან არა ამეფეს ნებისაებრ თვისისა, იგი მასვე წელსა განივლტო ოსმალთაგან და მივიდა მამისათანა.

წელსა ჩღვდ, მეფე ვახტანგ და ბაქარ წაბჰანდნენ რუსეთად. და მმა მეფისა ვახტანგისა მეფე იესე გათათრდა და კჷნაღდ მისცეს ოსმალთა მეფობა ქართლისა იესეს, გარნა არცა იგი ამეფეს ნებისაებრ თვისისა და მოკჷდა მეფე იესე, წელსა ჩღვვ.

ამასვე წელსა კახთ მეფეს მაჰმად-ეულიხანს უღალატეს და მოკლეს სამსირალში, მრავალნი თავადნი და გლეხნი მოსწევდნეს ოსმალთა კახნი, გარნა კახეთი ნებისაებრ თვისისა ვერა დაიჰერეს, და მოინდგეს კახთ მეფის მაჰმად-ეულიხანისა, თეიმურაზ, და მისცეს მეფობა კახეთისა ზაკთ, ვინაძოგან ნებავდათ დაჰერობა კახეთისა ვითარცა მსგავსად ქართლისა.

წელსა ჩღვდ, უსუფ ფაშა მოვიდა დიდის

ჯარი ქისიეს, მალაროს და დაღვა მუნ, რათა  
 ნებისაებრ თვისისა დაიპყრას კასეთი, სო-  
 ლო სცნა რა საკულება მათი მეფემან თე-  
 იმურას, შემოიკრიბნა კახნი, მივიდა ღამე  
 და თავს დაესსა და გაიმარჯუა ოსმალთა  
 ზედა, და მრავალნი ოსმალნი მოსწევტნეს  
 და წამოვიდა უსუფ ფაშა მეოტი, და მი-  
 ერთვან ვერღარა იკადრეს ოსმალთა შესვ-  
 ლა კახეთად, და ამასვე ჟამსა მოსულიყო  
 თამაზ-სან განჯას, რომელსა ეწოდა შემდგომად  
 ნადირშა, და რა ესმათ ესე ქართუჭლთა  
 უკუდგნენ ოსმალთა, ქართუჭლ-კახელნი, და  
 განჯას თამაზ სანთან ჩავიდნენ, და რა ისი-  
 ლეს ოსმალთა უკუდგომა ქართუჭლთა ამის-  
 თვის გაიერთეს ლეკნი, და მოიევანეს ლე-  
 კის ჯარები, და აოხრებდნენ ქართლსა და  
 კახეთსა, და სომხითს საბარათიანოსა და  
 ასე აღაოხრეს რომელ არღარა იპოებოდა  
 შენობა ქართლსა, და სომხით საბარათია-  
 ნოსა თუნიერ ცისეთა, და სიმაგრეთა კიდე,

და კახეთიდანაც გალექდნენ ქიზიუქელი, და  
 კალმა მხრელნი, და მისცეს ჰირი ლეკ-  
 თა, გარნა დაადგინენ მტკიცედ თავადნი, და  
 აზნაურნი, და შივნით კახნი სარწმუნოებასა  
 ზედა, და გაამაგრეს თელავი და ალავერ-  
 დი, და შეკრბენ მას შინა ვიეთნიძე თავა-  
 დნი და აზნაურნი, შეესვეწნენ ფშავ ხევ-  
 სურთა და შეაწუსეს ლეკთა ქიზიუქი, და  
 კალმა მსარნი. რომლისაგამო ვერღარა შე-  
 უძლეს მოთმენა, და უღალატეს მუნ მუოფ-  
 თა ლეკთა, და მრავალნი ლეკნი მოსწევტ-  
 ნეს და მოიუჭანეს მეფე თეიმურაზ ფშა-  
 ვიდან, და დასვეს მეფედ კახთა.

წელსა ჩღლე, მოვიდნენ ლეკნი და ქი-  
 ზიუქი მოარბიეს, მე მეფისა თეიმურაზისა  
 ირაკლი ძაძინ იყო წლისა, იე. (ათხუთ-  
 მეტისა) რომელმან, შემოიყარა სოფლები-  
 დამ ჯარი მოეწია ნეიშნის მინდორში, და  
 ძლიერად შემოებნენ ლეკნი, გარნა თუთ  
 ეს ემაწვლი მე მეფისა თეიმურაზისა ირა-

კლი მეორედ შიგან ჯარში შევიდა, და ზირ-  
ველად ამან მოკლა ლეკი, და ამის მხილ-  
ველთა კასთა ერთ-პირად მიმართეს, და დაა-  
მარცხეს იგი ლეკის ჯარი! გააურევინეს  
ტუჭები და საქონელი, და მოვიდა მადა-  
როს გამარჯვებული, რომლისათვის ფრიად  
მხიარული იქმნენ კახნი, იხილეს რა ესე-  
თი სიმხნე და ძალი მეფის მის შემკვდ-  
რისა თვისისა.

ამასვე წელსა, ჩღლე, ნადირშამ დემურ-  
ტაშხედ სარასკარი დაამარცხა მაისის ით,  
და ივნისს ია, ტფილისს მეოფთ ოსმალთ  
ნადირშას წიგნი მოუვიდათ, სარასკარზე  
გავიმარჯუტ და თქუტნ რასა იქითო, ივნ-  
ისის, ლ. ოთსმაფათს დღეს ოსმალნი  
ტფილისიდან გავიდნენ და ოკტომბრის, ვ,  
ნადირშა ტფილის ქალაქს შემოვიდა, კე. ქა-  
ლაქიდან გავიდა, და კახეთი მისცა მეფესა  
თეიმურაზს, და მეფობა ქართლისა მმის  
წულისა მეფის თეიმურაზისასა, ალისანს, და

იგი თან წაიყვანა, ხოლო ტფილისს ქალაქსა შინა დასვა სსტუა ერთი ხანი ეიხილბაშისა.

წელსა, ჩღვუ, ნადირშას სეფიხან სარდალი გამოეგზავნა ქართლში, ამან მოუწოდა მეფეს თეიმურაზს კახეთიდამ, და ქართუშლნიც შეკრიბნა ქართლში ფსვენისის სოფელში სადაცა უღალატეს მეფესა თეიმურაზს. და დაიჭირეს ეიხილბაშთა, და ამასთანავე დაიჭირეს გივი ამილახვარი, არაგვის ერისთავი ბარძიბ, და თარხანი ლუარსაბ, და ესრეთვე კახნიცა, დაიჭირეს ჩოლაყაშული სალთსუცესი გივი, ქისიყის მოურავი ქაისოხრო, და წაიყვანეს ესე ყოველნი სპარსეთში, და ისპაანს რომ მიიყვანეს იქ ჰერობილობითაგან განათავისუფლა, და ჰატვიით შეიწუნარნა, გარნა ამ ქამად ნადირშა ყანდაარს წაბმანდა, და მეფე თეიმურაზსცა თან წაიყვანა და ვინც ქართუშლნი და კახნი თან ახლდნენ, ისინიც

თან იასლნა უანდაარს, და ოდეს მიიწივნეს უანდაარად, მაშინ მეფესა თეიმურაზს გამოუცხადეს შენი შული ირაკლი დაიბარე და ის რომ ჩამოვა მაშინ თქუტუნი დაგიტოვოთო, ვინაჲდგან სედვიდა ქართუტლთა მხედ, ამისთჳს თჳთ ნადირშაჲსან მოსწერა წიგნი დაბარებისა ირაკლის და დაიბირა ქართუტლნი, და კახნი, სოლო მსმენელთა ამისთა ქართუტლ კახთა ერთ ჰირობით არა ინებეს წარსვლა ირაკლისა სპარსეთად, რომლისათჳს შეიყარნენ ქართუტლნი და კახნი, და არა უშვებდნენ მესა მეფისა თეიმურაზისასა ირაკლის, გარნა არა მისედა ჰატრისა და დიდებასა ამის სოფლისასა, არამედ სათნო ეყო ბრძანებასა მაძისასა, და დიდად შორს დაიჭირა წაუსვლელობა თჳსი, და თქუა მამა ჩემი იქ უნდა ჰქუანდეს, ჩემის იქ წასვლით გამოუშვებდენ და მე ამაზედ დავბრკოლდეო და არ წავიდე ეს ჩემგან არ იქნებაო.

წელსა, ჩღლს, ირაკლი წარვიდა ფებერ-  
ვალში ნადირშასთან, და ეანდაარს ჩავიდა,  
ნადირშას ეანდარი მარტის თექვსმეტს აე-  
ლო, და ოდეს მივიდა ირაკლი მაშინვე  
წინაშე ნადირშაძსა წარადგინეს, და ნადირ-  
შამ ლაპარაკი დაუწყო ირაკლის, და ჰკით-  
ხა ბრძანების კუარად საშიშარის სახითა  
არ გათათრდებო, ხოლო ვითარცა მოწა-  
მემან აღჯარა მძლავრისა წინაშე, ქრისტე,  
და მოახსენა წელიწადითა და დღითა ემა-  
წვლმან, ხოლო გონიერებითა ბრძენმან,  
ჩემი სიკუდილიკი შეგიძლიან, და ესკი არ  
შეგიძლიან რომ მე ქრისტე მაგმობინოო,  
არას მიზეხით ჩემი თათრობა არ იქ-  
ნებაო, შემდეგ ნადირშამ-უბრძანა ნუ გეშინი-  
ან მე შენ მაგახედ ძალას არ დაგატანო  
მეორეს დღეს მეფე თეიმურაზ ქართუშლნი  
და კახნი მოიყვანნა, ეოველნი დაითხოვა,  
და საქართუშლოში გამოისტუმრნა. თუთ ნა-  
დირშამ ინდოეთსედგაილაშქრა, და მე მეფისა

თეიმურაზისა ირაკლი თან წაიკუჱანა, ჩავი-  
და ინდოეთს, ინდოეთის კელმწიფე, აქმად-  
შაჰ შემოება სამასის ათასის კაცითა, გა-  
რნა ნადირშას გაემარჯუა, და მთელი ინ-  
დოეთის საკელმწიფო დაიპყრა, იქიდან კა-  
მობრუნდა და სინდუს შვიდა, და  
სინდუსის სამეფო, დაიჭირა, გარნა სინდუ-  
თში დიდი ომები გარდაასადა, და ყოველ-  
თა ამა ბრძოლათა და ომებსა შინა თან  
ხლებით დასწრებულ-იყო მე მეფის თეი-  
მურაზისა ირაკლი ნადირშასთანა, რომელ-  
მანცა ფრიად მოაწონა თავი თვისი სიმ-  
ხნითა და სიკასკასითა, და დიდთაც შე-  
უეჯარდა, ნადირშას მე მეფისა თეიმურაზი-  
სა ირაკლი, აქედამ კამობრუნდა და მო-  
ვიდა ეანდაარს.

წელსა ჩღლთ, ნადირ-შაჰ ეანდაარს მო-  
ბმანდა, და ვინადგან მადრიელ იყო ნადირ-  
შა მეფის ძის ირაკლისა, ვითარცა აჩუჭნა  
სიმხნე და ეროგულება ამისთვის უბმანა

ნადირშამ მეფის მეო ირაკლი შენს ქუჭ-  
 ვანას ეჭირუჭბი, და ნება მომიცია წადი  
 შენს ქუჭვანაში, და მარადის ჩუჭნის წყა-  
 ლობისა მოიმედე იუავიო, მადლობა მოა-  
 ხსენა, მაისის კჭ, ეანდაარიდამ წამოვიდა  
 და სეკტეებერს, იგ, ღამისა ოთხი საათი  
 იყო გასული რომ კასეთს ალავერდს მობ-  
 მანდა, ამ ქამად ნადირშამ თურქისტანსედ  
 წაბმანდა, ბალსი ბუსარი, ორგანჯი სამარ-  
 ვანდი, და მთელი ქურტისტანის სამეფო  
 სრულებით დაიჭირა, და იქ რამდენიმე სა-  
 ნი დაუკვიანდა, იქიდან გამობრუნდა ნადირ-  
 შამ, და დაღისტანში მოვიდა ძლიერის ჯა-  
 რით, და შეამჭირვა ლეკნი, და დაღისტანე-  
 ლნი ძლიერთა ბრძოლითა, და ეგრეთვე  
 ქართუჭლნი სურსათისა თხოვითა, რომლი-  
 სათჯს განდგნენ ნადირშასაგან ვიეთნიმე  
 ქართუჭლნი, და მოიუჭანეს ლეკის და ოს-  
 ძალის ჯარები, აოხრებდენ და ატუჭებდენ  
 ერთმანეთს, ვინაჲდგან ველარო შეუძღეს

სამსახური ნადირშაისა და ტფილისს მჯდო-  
 მი ხანი ნადირშაისა, ებრძოდა მარადის  
 ქართველთა, და აოხრებდენ მარადის ორ-  
 ნივე მხარენი ქართლსა და ესე ვოველნი  
 აცნობა ტფილისს მჯომჲან ხანჲან ნადირ-  
 შას, ხოლო იგი განძნდა საქართველოსა-  
 ზედა და განიგულა აერა და მოწყუტა  
 ქართლ-კახეთისა ხალხისა. ხოლო სცნა რა  
 ესე მეფეჲან თეიმურაზ, წარავლინა დედო-  
 ფალი თამარ, ასული მეფისა ვახტანგისა  
 ვედრებად ნადირ-შასთან, რათა არა ასწუჯ-  
 ტოს ქართლ-კახეთისა სახლი და დასცხ-  
 რეს მრისხანება მისი ქრისტიანეთა ზედა,  
 ხოლო მივიდა რა დედოფალი თამარ და-  
 დისტანში ნადირშასთან და ეჭდრა აუუ-  
 რელობასა ქართლ-კახეთისასა და ესრეთვე  
 აცნობა უცოდველობა ქმრისა თჳსისა, მე-  
 ფისა თეიმურაზისა და ეგრეთვე ერთგუ-  
 ლება მისა თჳსისა ირაკლისა, რომლისა-  
 თჳს მუის თანად მოღმობიერდა მძლავრი

იგი და ზატვიისცა დედებრ, და ყოჭულნი  
 თსოვილი აღუსრულა, გამოუტევა დი-  
 დითა ნიჭითა და მოვიდა კახეთს, და მო-  
 წერა ნადირშამ ტფილისს მჯდომს ხანსა  
 უკუძღვართა ქართუჭლთა ზედა ბრძოლა და  
 აოხრება. მივიდა ესე ტფილისს მჯდომი  
 ხანი ეიზილბაშისა ჯარით და შემოადგა  
 აწერის-ხევისა, შემუსრეს აწერის სევი და  
 გამოიყვანეს ქსნის ერისთვს შანშეს  
 ცოლ-მული და ძმებისა მისისა, სოლო  
 შანშე ივლიტოდა ახალ-ცისეს, გარნა სთხო-  
 ვეს იგი ეიზილბაშთა და მოსცეს შანშე  
 დაჭერილი ოსმალთა და შეიპყრეს მძაცა  
 შანშესი იესე, და წარგზავნეს ცოლ-მულით  
 ხორასანს და დაიპყრეს ქსნის-სევი და  
 მამული შანშესი გიგმან ამილახვარმან.  
 ამ ქამადვე მოკლეს არაგვის ერისთავი  
 ბეჟან, ემათა თჯსთა, და გამოაძეს სახლის  
 კაცნიცა მისნი, და დაიწყო გიგმან ამილა-  
 ხჭარმან დაპყრობაცა არაგვისა საერისთო-

სა, მოიცა ძალი ოსმალთაგან და განდგა  
ვიზილბაშთაგან, და ესე ეოჭელი ამცნო  
ტფილისს მჯდომიან ხანძან ნადირშას,  
გამოუცხადა ერთგულება მეფისა თეიმურა-  
ზისა და მისა მისისა ირაკლისა. ნა-  
დირშამ უბოძა არაგვის საერისთო მეფეს  
თეიმურაზს, მოუძცნო ბრძოლა და კი-  
რთება გივის ამილახვარისა, სოლო გივისა  
აქუდა ქსნის-სევისა გამაგრებულნი ციხენი  
და ჭეუანდა ბიძა მჯლი თვისი რევაზ. ეს-  
რახნენ მეფენი ამ რევაზსა, აღუთქუტს  
წეალობა უკეთუ მოსცემს ციხეთა და მოს-  
ცა რევაზიან ციხენი ქსნის სევისანი, და  
დაიპურეს ქსანიცა მეფემან თეიმურაზ და  
ირაკლიმან, მრავალი ბრძოლა და ომე-  
ბი გარდაიხადეს, ვიეთამე ქართუტლთა  
თავადთა მიუწოდეს, მესა მეფისა თეიმურა-  
ზისასა ირაკლის. წარვიდა ირაკლი  
სამასისა კახელისა კაცითა და წარიეჟანა  
ლევნიცა, შემოეყარნენ რაოდენიმე ზე-

მოსაქართუტლოში თავადნი ირაკლის ძესა მე-  
 ფისასა, მივიდნენ და დადგნენ ცხინვალის  
 ზევიდამ აბო წმინდასა. სცნა რა ესე გივ-  
 მან ამილასვარძან სურამს მდგომძან, შემო-  
 ივარა ოსმალისა და ლეკის ჯარნი ვიდრე  
 ხუთი ათასამდე, და ვიეთნიე ქართუტლნიცა  
 შეეწოდნენ გივს ამილასვარს, მოვიდნენ  
 ღამე და დილას ბინდისასა დაესხნენ მე-  
 სა მეფისასა ირაკლის, ეკუტთა ირაკლი  
 ძლიერად და ფიცხელი ომი მოუსტდა, გარ-  
 ნა მოსცა ღმეთძან ძლევა, ირაკლის ძესა  
 მეფისასა გაემარჯუა, ლტოლვილნი იგი  
 ოსმალ-ლეკნი წარვიდეს გივითურთ სურა-  
 მისაკენ, ხოლო მეფის მე ირაკლი წაბძან-  
 და კახეთად და მეფე თეიმურაზ მიბძანდა  
 ზემო ქართლში, და ერეთს დაგდა, ამ ქა-  
 მად ძუძლი ეაენის ძული ლტოლვილ იყო  
 ნადირშასაგან, დაღისტანში იმეოფებოდა,  
 ამას დაღისტნელი ლეკები გამოუმძღუარეს  
 და ხონთქართან გაისტუმრეს, წარმოიუქანეს

და ქსანსედ გივი ამილახუარი ეკულუჭბო-  
დათ და იქ მივიდნენ, სცნა ესე მეფის შემ  
ირაკლიმ კასეთს მეოჟმა და ფიცსელად  
გამოუდგა, მოეწია ქსანსედ უანჩაეთს და იგი  
ეაენის შული დაიჭირა, წაიუქანა და ერე-  
დეს თავის მამას მეუკეს თეიმურაზს მიაბრ-  
თუა. მეფემან თეიმურაზს მამინუჭ თავისი  
შული ნადირმასთან გაისტუმრა და იგი  
ეაენიც თან გაატანა, ამ ჟამად ნადირმა  
ოსმალთ მუსურსა ბრძოდა, და მიესმა რომ  
შირუანი უკუდგა. ეაენის შული მიიუქანეს,  
დაღისტანიც ითან-სმავს და გააკლმწიფესო,  
ამისთჳს თავისი შული ნასრული მირსა  
გამოისტუმრა დიდის ჯარით და მტკუტის  
ჭარსედ რომ მოვიდა შირუანში გასასულე-  
ლად, იმ ჟამად მეფის მე ირაკლი მივიდა  
და ეაენის შული დაჭერილი მიაბრთუა, რომ-  
ელმანც ფრიადი მადლობა უბძანა და ესე  
უოჭული მისწერა მამასა თჳსსა ნასრულა  
მირსამ. ვიდრე მისულადმდე ამისსა ნადირ-

მა მუსულიდამ წამოსულიყო და ესე ანბანი  
ვი გზახედ მიუვიდა, რომელმანცა  
მოსწერა წიგნი მადლობისა მეფეს თე-  
იმურაზს მოუბოძა ათი ათასი ოქრო  
და მოუძნო ტუილისში მჯდომს ხანს ეი-  
ლიზ-ალიხანს, მეფის თეიმურაზისათვის ის-  
ტიარობა მიმიციაო და ეოველს საქმეში  
მაგას უნდა ჰკითხევდო, თუთონ ნადირმა  
აქედამ გაბრუნდა და ეარსის ცისეს შემო-  
ადგა, სოლო ნასრულა მირზამ მოსცა მრავალი  
ნიჭი მეფის ძეს ირაკლის და გამო-  
ისტუმრა დარწმუნებულისა სიტუჯთა, შენ  
წადი, რადგან ასლა შენს ქუჭყანას ეჭირ-  
ჭებო იქ მიეშუჭლე და ამის შაკიერს  
წეალობას მალე მოელოდო.

წელსა ჩემდ, წარმოავლინა ხუანთქარ-  
მან უსუფ-ფაშა სპითა დიდითა, და წარ-  
მოატანა სახინა, რათა წარგზავნოს იგი  
დადისტანსა შინა და მით გამოიუწანოს  
დადისტანის ჯარი, და ამათ მოესმაროს;

ამილასკვარი გივი და უსუუ-მა რუისს და-  
 დგენ, ხოლო ესე სცნა რა ტფილისს მუ-  
 დომძან ხანძან ალიხან, ამან აცნობა მე-  
 ფესა თეიმურაზს და წარმოვიდა სწრაფად  
 კახეთის ჯარით. მოვიდა ალიხანისა-თანა  
 და ხანძაც შემოიყარნა ქართუჭლნი, მივი-  
 დნენ და დადგენ გორს, მოვიდნენ ოსმა-  
 ლნი თედოწმიდას და გავიდნენ გორიდაჲ  
 საომრად ეისილბაჲ-ქართუჭლნი, კეჭტ-  
 ნენ ძლიერად, გარნა იძლიენ ოსმალთა-  
 გან ეისილბაჲ-ქართუჭლნი, გამოაქციეს,  
 მოჭეუნენ გორს გაღავნის კარებადმდე,  
 გაბრუნდნენ ოსმალნი და დადგენ რუისა-  
 დვე, მაშინ მოიუქანეს დაღისტნის ბელადი  
 ძალაჩი და მიაზარეს დაღისტანში გასავსა-  
 ვნი ხაზინა, და ესე ძალაჩი იყო ამ ქა-  
 მად დაღისტნის ჰირუჭლი რჩეული ბელა-  
 დი, და ყოველნი დაღისტნელნი მორჩილ-  
 იუენენ მისა, ესე წარუძღუანეს ორი ათა-  
 სის ლეკით, და წარიტანეს ორი ათასი

ოსქალა, და გაისტეურეს დაღასტანში, ესე მიუწერა სანშან ირაკლის ძესა მეფისასა დი აცნობა ყოველნი ყოფილი, წარმოემართა ირაკლი მსწრაფლად და შემოიკრიბნა რაოდენიმე სჯანი კახეთიდან, ორასნი ეისილბაშნიცა მოერთუნენ ტფილისიდან, და ამა შეკრებულთა ჯართაგან შეუკრა არაგვის ჰირი, მოვიდნენ რა დილას ოსმალ-ლეკნი და დაიწვეს გამოსვლად არაგვსა, მაშინ ეკუჭთა ირაკლი ძე მეფისა და იქმნა ბრძოლა ძლიერი, შეკრეს სამგორი ლეკთა და საჭაღით არაგვს ჰირთა დაიწვეს მუნიდგან ძლიერად თოფთა ცემაჲ და დარჩა ძე მეფისა ირაკლისა არაგვის გამოღმა, აღმოსავლეთით კერძო, რომელ არაგვის მდინარე მაშინ განდიდებულიყო, უფროდ არ გაისვლებოდა და განგრძელებოდა თოფთა ცემა ამიერ და იმიერ, მაშინ შეუსჭდა ძე მეფისა ირაკლი არაგვს, და ჰირუჭლ ყოუჭლთასა თვით

კანკლო ფონი იგი, ხოლო მსილჭელთა  
 სხათა არა რიდეს მას საშინელსა წყალსა  
 და კანჭუენენ უოველნი სხანი თვისნი და  
 იქმნა ბრძოლა ძლიერი, ვინაჲდგან ოსმალ-  
 ლეენი, უმეტესობდენ, გაძნებულსა ომსა ამას  
 შინა, ჰირჭელ მიუხუდა თუთ ირაკლი, მე-  
 ფის მე. დაღისტნის ჰირჭელი ბელადი  
 მალაჩი თუთ ამან მოკლა იგი, სიკუდი-  
 ლისა მისისათუც იძლიენენ ოსმალ-ლეენი,  
 მიუჭენენ ესენიცა, ვიდრე ქსანს გაღმა ოკ-  
 ბადმდე, მრავალი მოკლეს და დაიჭირეს,  
 მივიდნენ ესე ლეენი და ოსმალნი დამარ-  
 ცხებულნი რუისს უსუფ-ფაშასთანა, გარნა  
 ფრიად შეშინებისა-გამო მასჭელ ღამესა აი-  
 ვარა უსუფ-ფაშა ვითარცა მეოტი, მეფე  
 თეიმურაზ და ვიზილბაშნი გამოუდგნენ ოს-  
 მალთა, გარნა ველარას ეწივნენ და ესე  
 ყოჭელი ყოფილი და ქმნილნი ირაკლი-  
 საგან, ხანმა მიუწერა ნადირშას, მან დაუ-  
 მადლა და მხიარულ იქმნა, წარმოუვლინა

ცხენი ოქროს ადკასმულებითა, კმალი მძიმეთ მოჭედილი, და მოუბოძა ქართლის მეუობა მეფესა თეიმურაზს, და კახეთის მეუობა ირაკლის ძესა მეფის თეიმურაზისასა, წელსა **1744**.

ამასვე წელსა, ჩღმდ, ნადირშა ეარსი-დამ გამობრუნდა, სცნა მეფე თეიმურაზმა, და წინ მიეკება, აბოცხ, რომელ არს უაიუული, იქიდან მობრძანდა ბორჩხალოს, დებედის ჰირზედ, გოგთაფას, დაღვა მუნ რამდენსამე დღესა, იქ იღვა, სოლო აქა მობძანდა დედოფალიცა თამარ, და კახეთით ირაკლი, რომელთაცა დიდად ჰატევსცა, უმეტესის ჰატევით მიიღო, ამ ქამად ეკედრნენ მეფე თეიმურაზ, მეფე ირაკლი, დედოფალი თამარ, სთსოვეს ერისთავი შანშე, ძმის წული და საკელოვანი მისნი, მოანიჭა, ვითარცა მიუწერა წიგნი ხორასანს ხანთან, განთავისუფლებისა მათისა, და გამოტევებისა, ნა-

დირშაცა გაბრუნდა ეახსსედა, განჯახედ ჩაიარა, მულამს ჩაუიდა, იქ რამდენსამე ხანს დადგა, მოვიდა შანშეცა ხორასნიდამ სახლეულით თჳსით და მეფემან თეიმურაზ, მეფემან ირაკლიმ ოსმალთაგან წართმეულნი მამულნი თჳსნი, და ერისთაობა ქსნისა მიუბოძეს შანშეს.

წელსა ჩღმე, გიუმან ამილახვარმან სურამის ციხე განამაგრა ძალითა ოსმალთათა, და შევიდა მიერ, და დადგა მუნ, მივიდა მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი, ბრძანებითა ნადირშაისათა. ერთი ეიზილბაშის ხანიცა ჯარით, რომელსა შემოადგენენ, რამდენსამე თჳსს უკან გამოიუჭანეს ციხიდან დაჭერილი და ნადირშასთან გაგზავნეს.

წელსა ჩღმე, ნადირშა განრისხდა ეოველსა სამფლობელოსა თჳსსა ზედა და საქართუჭლოსაც აზბაბი შემოაწერა ვითარცა სხუა ქუჭუნებსა, ამასუჭ წელს მოკლეს ნადირშა ეიზილბაშთა, ძმის-წული

მისი ადილ-მა გააკელმწიფეს, ამან დაიბარა მეფე თეიმურაზ, მეფემან თეიმურაზ ქართლი მიაბარა ქესა თხსსა მეფესა ირაკლის, გარნა დავუჭდრა საქმისა ჭითხუა იესე მეფის აბდულა-ბეგისადა, ამან აბდულა-ბეგმან გარდაიბირნა რაოდენნი ქართუჭლნი სომხით-საბარათიანოდაჲ, სხუანიცა, უკუდგა ირაკლი მეფესა, მოიყუანეს ეზიღებაჲსი ხანი, სააბ-ინტიარი ჯარით ამას მოჰყუენენ, განჯა ერანაადის ხანები, დღლისტნის ხანი, ანატ-ხან და საქართუჭლოს ელები, მამაღინი, ეასახი, ბორჩალუ, დემურჩასალუ, ბაიღარი და სხუანი ყოველნი ხურდა მოიმაღები, მოვიდნენ ტფილისს სიასლოვესა ქალაქს, მსილუჭლი ამისი მეფე ირაკლი გავიდა ურიდად მცირისა ჯარითა, ეკუჭთა ძლიერად, მოსცა ძლეუა დემურთმან მეფესა ირაკლის, გაემარჯუა და წავიდა აბდულა-ბეგ მეღტი, შევიდა ციხესა სამძულდისასა, და გაამაგრა იგი.

წელსა ჩემც, კარდიბირნა ქალაქის ცისის მცუტლნი მეცისოუნენი აბდულა-ბეგმან, უკუდგენ ირაკლი მეფესა და უცნობელად საქმისა დაიწვეს ცისილამ თოფთა და ზარბაზანთა სროლა ტფილისის ქალაქსა შინა, ხოლო შემოდგა მეფე ირაკლი ქართლისა და კახეთის ჯარებით, უმეტეს ტფილისის მოქალაქენი ჰბრძოდნენ ცისესა, მტკიცედ ჰსდგეს ერთგულებასა ზედა მეფისა ირაკლისასა, აბდულბეგმაც შემოაშტტლა ცისეში ხუთასი ლეკი, იყო დღე ყოველ ბრძოლა. ამ ჟამად მოვიდა დაღისტნის ბელადი ყოჯახ დიდის ჯარითა და ავჭალები დაარბია, ტუტ და საქონელი წაიღო. რა ესე სცნა მეფემან ირაკლიმ, რაც ჯარები ჰქუანდა ტფილისის ცისეს საბრძოლველად დაუტეუა და თვითონ ორასის კაცით სატიოხედ მტკუარში გასცურა და ყოჯახს ბელადს გამოუდგა, მღევრულად ქიხიეის ჯარიც შემოეყარა, ნახარის სოფლებილამ,

გადაასწრო ქისიეის ბოლოს, შეება შირა-  
ქში ეოჯასს, ფიცხელი ომი მოუხუდათ,  
მოსცა ღმერთმან ძლევა მეფესა ირაკლის  
და გაემარჯუა, მრავალი ლეკი მოკლეს,  
ტეუტ ეუტლა, საქონელი სულ დააურევინეს,  
გამობრუნდა მეფე ირაკლი, იქავე შირაქის  
თავში დედოფლის წუაროსედ მობძანდა, იქ  
დადგა, ეს ეოჯას გარდარჩომილის ჯარით  
წავიდა, ამათ სსტა დაღისტნის ჯარი შე-  
მოეყარათ, ახალი მოძავალი, ამა დამარც-  
ხებულთა ეოველი თავისი თავის გარდასა-  
ვალი უამბეს, ამ ახალმან ჯარმა უთხრა  
ეოჯასს ბელადსა, თუ იმ თქუტნს ნამო-  
ვარს საქონელსა და ტეუტბში წილს და-  
გვიღებთ, დღეს ისინი ვერსად გაგვიწრო-  
ბენ, ჩუტნც გიძუტლით, მოვეწევით და ისე  
გაჭაურევინებთო. რა ესე ეოჯასს უთხრეს  
ეს ფრიად გამსიარულდა, კუალად შეითქვნენ,  
წარმოვიდნენ, იმ ღამეს იარეს და მეორე  
დილა რომ გათენდა დედოფლის წუაროსედ

მოვიდნენ, და მეუფესა ირაკლის თავს დაესხნენ, გარნა ძლიერი იგი და მსნე ირაკლი მეფე უწინარეს ყოველთა შეჯდა ცხენზედ და თვთ ესროლა თოფი, ეველასე უწინ მოკლა ლეკი, და უბძანა ჯართა მსნედ შეტევება, ვითარცა უმეტეს ზირჭელისა დაამარცხეს იგი ლეკთა ჯარნი, მრავალნი მოსწევტნეს, წარმობძანდა იქილამ ტფილისის ციხე აიღო, და თავისი მეციხოვანები დააყენა, წარმობძანდა, სამსულდის ციხე აიღო და მობძანდა გამარჯუებული ტფილისად.

(განგრძელება იქნება შემდგომ წიგნში.)

ნ..... დმი.....

მნათობო თვთ შენ აღმიხსენ, რა შემარტების რასა  
გგრძნობ?  
როს გხედავ, რათა ვჭსწითლდები, რად ვჭკრთები, ვში-  
შობ და ვხარობ?  
მასინ რად ენა დუმდების, როს შენთან უბნობას ვჭსც-  
დილობ?  
და რასთვს ნაცვლად სიტყუათა, მხოლოდ რხვრათა ვმე-  
ტყუწლობ?

მრავალჯერ ვფუცავ ან გნახო, მარამ ყოველს ჟამს  
გეძიებ!  
როს გხედავ, გულსა სანშილსა, მდუმარედ მყოფსა აღმი-  
გზნებ;  
მასინ მე შმაგი ყოველთა გარე ჩემს სტანთ ვიგიწუებ,  
ხანა ვჭსწყევ შენთა სიტურთუეთ, და ხანგი მითვე ვადმერ-  
თებ!—

მრავალ გზის ვჭფუცავ ვიგიწუო და კწნაცა ნება გონე-  
ბის;  
მარამ როს გხედავ, გონების რხევა სრულიად ან მესმის!

გული კვლმწიფობს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის,  
და გულის მონად შექმნილი, გონებაც შენდა მოფრინვის!

თ. კრიგოლ ორბელიანი.

ფიქრი მტკაჭრის ჰირსე.

(თ. ნიკოლაოზ ბართოვის ლექსებითგან.)

წარველ წულისა ჰირს, სუედიანი, ფიქრთ განსართველად.  
 იქ კვიებდი ნაწნობს ალავს განსასკენებლად;  
 იქ ლბილს მდელაოზე სანუგეშოდ ვინამე ტრემლით;  
 იქ ყოველივე არე-მარეტ იყო მოწყენით....  
 ხელად მოელეავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა,  
 და მისს ზვირთებში ჭკრთის ლაჭვარდი ცისა კამარა.  
 იდაყუ-დაყრდნობილ ყურს ვუგვებ მე მისსა ჩხრიალსა,  
 და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა...  
 ვინ იცის მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვ?  
 მრავალ-ღრობის მოწამე ხარ, მარამ ხარ უტყვ!....  
 არ ვიცი ამ დროს, ჩემს წინაშე, ჩუბნი ცხოვრება  
 რად იყო ფუჭი და მხოლოდ-და ამაოება?...  
 მანინტ რა არის ჩუბნი ფოთა, წუთი სოფელი,  
 თუ არა ოდენ საწყაული აღუესებელი?  
 ვინ არის იგი, ვისიღ გული ერთხელ აღვესოს,  
 და რაც მიედოს ერთხელ ნატკრით, ისი კვმაროს!  
 თუთონ მეფენიც, უძლეველნიც, რომელთ უმადლეს  
 არც ვინღა არის და წინაშე არც ვინ აღუდგეს,  
 რომელთ კვლთ უზერასთ უმადლესი სოფლის დიდება,  
 შიგოთკენ და დრტვიან და იტყვან: როდის იქნება

ის სამეფოცა ჩემი იყოს? და აღიძვრინან  
 იმაჲ მიწისთჳს, რაც დღეს თუ სვალ თუთონ აჩიან...  
 თუნდ კეთილ-მეფე როდის აჩის მოსვენებული?  
 მისი სიტყვსლე, სრუნვა, შრომა და ცდა ქებული,  
 მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უხატრონოს  
 თავისს მამულსა, თჳსთა შჯლთა, რომ შემდგომსა დროს  
 არ მისცეს წყევად თჳს სხელი შთამომავლობას?  
 მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,  
 მაშინ ვინდა სთქმას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?...—

მაგრამ რადგანაც კაცთა გვექვიან შჯლნი სოფლისა,  
 უნდა კიდეტა შეესდიოთ მას, გვესმას მშობლისა:  
 არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკუდაჩსა ემსგზავსოს,  
 იყოს სოფელში და სოფელსვი აჩარა აჩგოს.

1837 წელს.

მოხუცის მოკონება.

სიერებისა ჟამნი განქრნენ ვით წამნი,  
 სიკუდილსა ვუცდი;  
 წარვიდენ წელნი ტაბილ-სანაატრელნი,  
 ვაჲ, მოვსუცდი!  
 შეკრთა სხეული, იჩაგრა გული  
 ერთს დროს მხურვალე;

ცრემლი მხოლოდღა დამჩნა ნუგეში,  
 ეოვლად ვიცვალე!  
 ერთს დროს სიუქარულს ცხად, ხან დაფარულს,  
 შეცა ვუძღერდი!  
 ის დრო ნეტარი ესლა სად არი?  
 ვაჟ დაფებრდი!  
 ერთხელ ვმონებდი და ვთაყვანებდი  
 მეც შავსა თვალებს,  
 მარად ვიცნობდი და მარად ვკვტომნობდი  
 მე იმათ ძალებს!  
 სიზმარებრ ჩქარა დრომ გაიარა,  
 განქრა ეოველი!  
 ხალისი მანა თან წაიტანა,  
 ვაჟ, რას ველი!  
 ჩემსკენაც რბოდენ, მეცა მეტროფოდენ  
 ემაწვლნი ქალნი  
 და წითლდებოდენ, როს შესვდებოდენ,  
 მათ ჩემნი თვალნი.  
 სად არს ხალისი და ყამი ისი,  
 მათ რომ წიგნს ვსწერდი?

მოვიდა რიგი, განქრა დრო იგი!

ვაჟ დაზებერდი!

მეც ვჯირითობდი, მეც ვხალისობდი

ცხენის ჭენებით;

ბევრჯერ ფერხული გვეკონდა დაბმული,

და ვსტრიალებდი სიამოვნებით!

სიერმისა ჟამნი განქრენ ვით წამნი

სიკუდილსა ვუცდი;

წარვიდენ წელნი ტებილ—სანატრელნი,

ვაჟ, მოვხუცდი!

ხშირად ვბედავდი და თორმეტამდი

კასური ღუნო გარდმისვაჲს თასით!

ეანწ, ახარფეშა მზად სუფრის ქუცშა

გვედგა გავსილი, ვჭვრეტდით ხალისით.

მაწვდენდნენ სასმოს სიტუჯთ «გაამოს!»

რა გადავჭკრავდი მეც «ალავერდი»!

სხუასა ვეტუოდი იმაჲ სასმოთი.

დღეს მომეშალა, ვაი, დაზებერდი!

მაშინ ამა დროს, ცუდს, არ სანატროს

არ მოველოდი!

სიკუდილის კარსა მივადე მწარსა,

გულს მხვდება ლოდი!

ოჰ, სიმაწვლე! რათ მომიბულე?

დროვ! რა მიუხვი?

მოველი სიკუდილს, საფლავსა გათხრილს,

კუბოს და სუღარს, ვაჟ და ვაჟ!!!

თ. აკ. წერეთელი.

## ლაჭონტენი და ჭუკე.

(განგრძელება.)

საწყალი მამა ჩემი! წაიბუტბუტა დომინიკემ. მესმის, შენის დაუდევრელობით ყური არ გიგდია, თუ რა ანბანია ჭუკეზედ... და შენთ მეგობართ აღარ მოჭყლიათ იმდენი სული, გაეხეთქათ შენთვის გული ცრუდის ანბით.

საწყალო, მე შენ მამინებ, შეჭსძახა ლაჭონტენმა, და ათრთოლდა როგორც ფოთოლი.

ჩემს უბედურებასაც მაგის მეტი აღარა აკლდა, რომ აგრე მომეწყლა შენი გული, უთხრა დომინიკემ.

განგრძე. სთქვ წვრილათ, რა ანბანია, უთხრა კიდევ ლაჭონტენმა, და დაეშტა კრესლასედე ისე შეწუხებული, ისე მოკლული, რომ იმის შჯლს დააუწყდა თითქმის უოკელიკე სათქმელი და ფიქრობდა მხოლოდ იმაზედ, თუ როგორ უშველეს მამასა.

ღმერთო, მიეცი მას ძალი; მე ვაღდებულ ვარ ბოლომდის შევასრულო ჩემი მძიმე ვალი. უნდა კიდევ ეთქვა რამე, მაგრამ ხმა უწყდებოდა; იმის კეთილის გულითგან

ისმოდენ მხოლოდ ერთნი კენესანი.

არას სიჭკვა ბოლოს დომინიკემ, მე ვერ დავასრულებ იმის ანბანს, თითონ ჭუკუ ბატყვს ეველაფერს. თქვენს და იმის გული ისე არიან შექნილნი, რომ ერთმანერთისას მალე მიხედებით. მაშაჲ, მოუწოდეთ შემწეთ სრულიად თქვენის ხასიათის სიმტკიცეს, ერთგულებას, სიუქარულს ჭუკუასს, და მეწმეთ, როგორც იყოს, წიკითხეთ აი ეს წიგნი.

ამოიღო იმ დროს ჯიბიდან ის წიგნიც და მისცა მამას.

ზოეტი გაუჯოღდა, როგორც სიკუდილი, რამდენსამე წამს იყო ისე, რომ ვერ გაბედა წიგნის გახსნა, გააგდო კელიდამ წიგნი, რომელიც დაეცა მუხლზედ, აიღო ისევ მთრთოლვარის კელით და ბოლოს დიდის ძაღდატანებით გასტყნა ბუკადი. ზაკეტში, როგორც ადრე ვსთქვით, იყო ჩადებული ორი წიგნი: ერთი ლავალიერის სახელზედ და მეორე მის სახელზედ.

«მეგობარო ჩემო! სწერდა მას ჭუკუ: თქვენ მნახეთ იმე ჩემს ციხე დარბაზში სრულსა ნათელსა შინა შემდეგობობისას, როდესაც თქვენ ეს წიგნი მოგივათ, მე მამაშინ ვუგდები საპყრობილეში. მტერთა წამართვეს სიმადიდრე, თავისუფლება და უნდათ ჩემი სიკუდილიც, და ყოროლი იქნება ძრეულ შემცდარი, თუ რომ ერთი მშუქნიერი არსება არ იკისრებს ჩემს შუკლას და არ დაუმტკიცებს მას ჩემს სიმართლეს და უმანყოფას. ეს არსება არის ლავალიერი. მიუტანეთ მას აქ ჩადებული იმის სახელზედ წიგნი. თქვენ ამას სხუანედ უკეთ ალასრულებთ, ამიტო რამ თქვენ ხართ ჩემს მეგობრებში უპირველესი და სხუაც ვერავინ თქვენში ეჭურს ვერას შემოიტანს. და თუ განგებულებას ადარ ნებაგს, რომ ჩვენს კიდევ ერთმანერთი ვნახოთ, მამაშინ ნუ დამი-

«ვიწეებთ მე, და მიიღეო ამასთანავე უკანასკნელი ნიშანი  
 ანჟისის თქუნიდათა განწყობილებისა და სიუწარულისა.  
 ამასთანავე გიგზავნი ბრილიანტის ბუკედს ათას პისტო-  
 ლეთ ღირებულს: მე ათი წელიწადი მქონდა ვე იმ კელ-  
 ასედ, რომელიც ყოველდღე შეგობრულათ მოგიტყერდათ  
 ახლმე თქუნიან კელსა. მძუდობით! — ნიკოლოზო ჭუკუ.»

ჭუკუ შეისვენა, მანამ გაათავებდა იმის წავითხვასა,  
 ბოლოს აგოცა სახუქარსა, და დაეშვა ისევ კრესლასში,  
 როგორც მუნ დაცემული.

დომინიკეს ეჩუნიან, რომ მამა მისი კვდებოდა. მო-  
 ხვად ველსედ და მსხვილის ცრემლით მოიუწანდა მას კრ-  
 ძნობაში. მამის ლატონტენმაც დაიწყო ტირილი, ადგა,  
 იგრძნო უცხო რაღაც შემსუბუქება და მოეხვია შუალს  
 ველსედ.

ჭუკუ გაღარიბებულა! ჭუკუ საწყობილუშია! მას ჰპირ-  
 დებინ სიკუდილსა!... ამობდა იგი კვნესით. ეს შეუძ-  
 ლებელია, უთოვოთ სიზმარია... მითხარ სიუწარულა დო-  
 მინიკე, მარწმუნე, რომ ეს ყველა სიზმარია.

ახა, სწორეთ ჭეშმარიტია, მიუგო შულმა. მე თითონ  
 ვნახე მუშაკატყრებმა (ყანდარებებმა), რომ წაიყვანეს ის  
 საწყობილუში ნანტს. იმან მოასწრო მხოლოდ მაგ  
 წიგნის მოცემა და თქმა, რომ მე შეხ იმის მაგიერ  
 გაკოცო.

მამის კიდევ მამამულნი მოეხვეოდნენ ერთმანერთს  
 მაგრა და განაგრძობდნენ საუბარს უსიტყვოთ, ოხვრით  
 და კვნესით. ბოლოს დომინიკემ შეჰკრიბა იმდენი ძალა,  
 რომ უამბო ლატონტენს თავისი მგზავრობა პარიჟში  
 შატოტიერასში, სოფლებში, მის საპოვნელათ; მიზეზნი,  
 რომლისათვის ჭუკუ ჩავარდა გორლოლის რისხვს ქუნიშ,  
 ბოლოს მიპატიებდა მისი, მიღებული შეგობრათა მისთა-  
 გან გამოსახსნელათ ჭუკუსა.

მერე? ჭკითხა ზღაპართ მწერალმა. გაცოცხლებულმა ახლის იმედით,

ღამე ჩუქნ მუკუარეთ ყარაულებსა. მე მოვასწარი მხოლოდ კელის მოკიდება ჭუკუსი კარეტაში, მაგრამ ორმოცდა ათმა კელმა გადამტოვანა შორს; მე დავეცი და დავინახე, როგორც გააქანეს ჭუკე.

ღმერთო ჩემო! წარმოიღუღლულა ლაქონტენმა და დაიფარა კელი პირზედ, მერე სტინელის მოძრაობით დაიფარა. რა უბედური ვარ, რომ მე იმ დროს იქ არ ვიყავ. მე რომ იქ ვყოფილყავ, მრთელს დაშქანს პირქუჭ დავეცემდი და მოვანჩენდი ჩემს კეთილის მომქმედს!

მე თითონ არ ვიცი განაგრძო დომინიკემ, როგორ აგდექი. სალდათებმა, რომელთაც ყურადღება იყო მოქცეული ტყვეზედ მე კვლავ დამათვარიელს, და უშუალო თანესა.

მე მოვბრუნდი ჰარიუში და დიდის მღელვარებით გამოვანჩენდი მოლაიერს ევ წიგნი და გამოვანჩენდი შენთან... და ბოლოს როგორც იყო შენ გიპოვნე და აი ეს არის ჩემი უკანასკნელი ნუგეში, რომ მე შენ გხედავ.

კეთილშობილურათ მოქცეულხარ! საუჭაროდო შჯლო, შესძახა მამამ, გინობ შენში ჩემს სისხლს! მომეხუჯა, მაგორც ჩემო დომინიკე!

ამ გვარმა მოძრაობამ მამობრივის სიუვარულისამ სამკურნალის სახით იმოქმედა დომინიკეზედ.

ნეტავ თუ რა უფეს ჭუკეს? ჭკითხა ბოლოს ზღაპართ მწერალმა.

ამბობენ, რომ ვითომც ის კვლავ იყო ხასტილიაში და მისნი მტერნი მსაჯულნი აპირებენ იმის საქმის გარდაწვეტასა.

ღმერთო ჩემო! სთქუა ლაქონტენმა, აღარ შეიძლება არცა ერთის წამის დაკარგვა.

არა თუ წამის, არც წუთისა, უთხრა დომინიკემ. ჭუ-

გეს წიგნი თქვენს უნდა გქონოდეთ მიღებული ერთის გვირით ადრე, მეშინიან ვართუ ლავალიერს გვიან მიუვიდეს ტუკეს წიგნი.

მასინ პოეტი წამოხტა, რაცგი ღონე ჰქონდა და უცხოე შეიცვალა ერთს წამში; სრულიად სხუა კაცი განდა. ამ ნიადაგ წარმაცს და დაუდევნელს კაცს აერთო ტერცლი სისხლში. გაუელვა თვალებში; ფეხებმა უწყო ჩქარა მოძრაობა, კელები მისი ექებდნენ ქუდს და ხმალსა, ის ღაპარაკობდა ჩქარა და შოწვევით, როგორც ლენერალი წინეთ სრლისა.

წავიდეთ შულა, უთხრა დომინიკუს; შენ გვაკვს ცხენი, მე ვიშოვი მეორეს, და თუ ვინ იცის ვერ ვიშოვნი შემოგივადები უკან. ხვალ დილას ჩვენს ვიქნებით შარეიში და შემდგომ იქ მისეღისა, ერთის საათის უკან ვერსაღში. მე უფლებს მაქვს გამოვცხადდე კელმწიფის სასახლეში. ჩემისთანა კეთილს კაცს ყოველგან კარი ღია დახვდება. ვინავე ლავალიერს, მივაწევ კორლამდისინაც... მე იმას მოკუნევი მუხლებზედ. მე ვიცი, რომ მე იმას უყვარვარ, მე ხშირად მივცემდი ხალმე შემთხვევასა სიცილისსა, იმისმა შულმა ჩემი წაღპრები ზეზირათ იცის. მე ვეტყვ კორლას ტუკე უბრალოა მეოქი, ტუკეს ცილი დასწამეს მეოქი. მომკალით მე და ტუკევი დაისუნით მეოქი. აბა შულა ცხენს მოახტი; ჩქარა დროით, ყოველი წამი ძვრია ჩვენსთჯს.

ამ დროს ცოლი ლატონტონისა შემოვიდა და სთქვა, ვახშამი მწათ არისო.

როდესაც შესუდა ქმარსა, სრულიად გულარ იცნო, ისე შეიცვალა ის რამდენსამე წამში, რომელიც იმ დროსაც იმახდა მალღის სმით: ცხენი, ცხენი, საჩქაროთ!

შენ ისევ მიდინარ? ჰკითხა ცოლმა. სად მიდინარ ვიცოდე მაინც.

ზარეუმი, უთხრა მან, მშჯდობით ახალს ნახვადმდე, უკროდა ლაქონტენი.

ამ დროს ვიღველიც მობრუნდა ისევ იმ კარკეტით, რომელმაც ლაქონტენი მოიყვანა შატოტეიერაში. ვუჩინა გაცტარებინა ის დრო მახლობელს ტრანსტირში.

მოგცემ მე შენ ათ პისტოლეის, უთხრა მან ლაქონტენმა, თუ ხვალ დიღას ჩუქს ვიქნებით ზარეუმი.

და აღშოფოტებული ექებდა რაღასაც ჯიბებში, უჯრებში, შკაფებში, ზორტყელში და უცებ განდუძებულმა ახალის ფიქრით უთხრა დომინიკეს: მე მომივიდა ფიქრათ ეს ჩემი ლექსები წაუღოთ კარგლსა; იქნება ამათ მიიხიღონ მისი უურადლება.

რომელი ლექსები? ჰკითხა დომინიკემ.

ეპისტოლე უღვს თევსებთან, მიუგო მამამ.

ღმერთო! იფიქრა შეშინებულმა დომინიკემ, ისევ ჭკუას დაბნეულია! ბუნება თავისას არ გშლის.

მაგრამ არა, საჭირო არ არის ამათი წაღება, ჰსოქება ლაქონტენმა, მე გზაში დავსწერ სხვა ლექსებს თანხმად ახლანდელი გარემოებითა.

ღმერთო, რას აპირობ? ჰკითხა ცოლმა, რომელსაც ეჩუქებოდა, რომ ქმარი მისი თათქო ჭკუასუდ შემღიღო.

ჩუქს მიგდივართ ძუკეს საშველათ, მიუგო ცოლსა.— აღოცნოთ თქუქს ეველამ, რომ ღმერთი ჩუქსნი შემწე იყო. სოქება ესე და ხვარდა კარკეტში, რომელიც გაქრა ერთს წამში სქელს მტუქსში.

დომინიკე მანდევდა მას ცხენის ჭენებით. რაოდენისა-მე წამის შემდეგ ისანი ორნავე დაბრუნდნენ.

საწელს ზოეტს დავიწეებოდა წიგნი ძუკესი ლავალი-გროას; მას ნაცულად წაუღო ეპისტოლე თევსებთან,

ოჰ, ღმერთო ჩეტავი ჭკუასუდ არ შევიძლო, ანობოდა

თჳთონ ლაცონტენი, რომელიც კელმეორეთ გაფრინდა ჰარიყისაკენ.

მე შემცდარი ანაკარ, სოქქა ლაცონტენის ცოლმა, როდესაც ვიქრობ, რომ ის უსარგებლოთ დაღუპავს თავსა და ქუკესაც ვერას უშველის. ამ გვარათვე იქრობს მოღიერიც. მაგრამ ვინ უნდა იყოს ეს ყმაწული კაცი; და როდის იქნება მე წვრილათ შევიტეო იმის ანაკვი.

მეორეს დღეს გუხერმა მიიღო ათი პისტოლევი. ლაცონტენი და იმის შვილი შევიდნენ ჰარიყში რვა საათსედ დილით.

ყველასეც პირუტყლათ ისინი წავიდნენ მოკრუსთან სხუა და სხუა ცნობების შესაკრებლად. აქ მათ ჰსცნეს, რომ ჯერ დროება არ იყო დაკარგული: ლუდოვიკ მეტოთხმეტე სრულიათ თავისის სვიტით (კრებით) იმ დროს წასულიყო სანადიროთ მარსელში, სადაც ვერა ვითარი ძალა ლაცონტენს ვერ მიიყვანდა; თითქმის მეფის შულებიც უნდა გამოცხადებულ იყვნენ იქ მხოლოდ მიხატიყებით.

მოკრუა დიდად განცვივრდა, როდესაც დაანახა თჳსი მკობარი, რომელიც მას თჳთონ გაისტუმრა ჰარიყიდან, მაგრამ ის განცვივრება გარდაექცა მას შიშვე შეწუხებდა, როდესაც ლაცონტენი მოეხუა მას გისეგრედ და ჩასძახდა მხოლოდ ქუკეს.

აქა მიმხედი მისა, რომ ისიც ძრეელ ერთგული იყო ქუკესი, პირუტყლად ინანდა, რომ გამოუცხადეს საიდუმლო ლაცონტენს, და აპირებდა ევედრებინა ამასეც დომინიკისათჳს; მაგრამ ზოეტმა დაჩუმა ის, მით რომ უჩუტნა ბარათი ქუკესი ლავალიერთან და მისნი გმირულნი მეტადინეობანი სასარგებლოთ მათის საზოგადოადს კეთილის მეოფისა.

მაშინ სამთუ თავისუფლათ და დაუფარავად იწეს

ღაპარაკი გამოჩენილს ჭორების მსხრქლმდღვედ. ორიე მამაშულნი ძალდატანებით გამოჭკითხავდენ ჰარიის ან-ბავებს.

ოხ! მე სრულიად არა ვატირა, მიუგო მოკრუამ. სვე ჭუკესი დაიარულია ბნელის საიდუმლოთი. ისმის, ვითომც მისი მსაჯულნი ხშირათ შეიყრებოდენ და რჩევასი იყვნენ ჭუკესედ. ზოგნი ამბობენ, ვითომც მას უპირობდენ დაკარგვას, ზოგნი—ვითომც სიკუდილს, და ზოგნი ვითომც საუკუნოთ ჰატიმრათ ჩსმას.

შეწყალებაზედ, ანუ მის სიმართლეზედვი არავინ არას ამბობს? ჭკითხა ლაქონტენმა.

ჩემათ, უბედრო! უთხრა მოკრუამ, რომ გაგიგონონ ეგ, შენც მოგელას ის რაც ჭუკეს.

გარგი მე ამას ყველგან ვიტყვ, უთხრა ლაქონტენმა, და თუ არავინ გამიგონებს, მაშინ მეც იქ გამგზავნონ, სადაც ჩემი მეგობარია!

მოკრუა ამაოდ ცდილობდა დაემშუდებინა ლაქონტენი, ის უჩრქვდა უარი ეთქვა იმ აჭრსზედ, რომლითაც ფიქრობდა გოროლის ნახვას, და დასჯერებოდა მას, რომ მიეტა წიგნი ღვალიერისათჳს. ვნახვ ერთსაცა და მეორესაც! დაიურა ლაქონტენმა; პირველადვი გოროლს ვნახვ, რომ საჭიროდგან საქმე დავიწყო. სად შემიძლიან შევიტყო, მალე მოვა თუ არა გოროლი ვერსაღში?

წავალ, გამოვკითხავ ამაზედ. მე წავალ პირდაპირ ლასბილიერის ქალთან, რომელსაც უმზადდება დღეს დიდი საქმე, მე იქ ვნახვ ყველა პირჩქლს კარის ვაცებს. მე თქვენს აქ მომიცადეთ, მე მოვალ ისევ აქ ერთის საათის უკან, ან არა და წავიდეთ ყველანი და ვისუხმეთ ღასაბალიერთან, უთხრა ლაქონტენმა, აიღო ქუდი და ჯოხი და გააღო კარი.

მოკრუამ და დომინიკემ ერთმანერთს გარდახედეს.

მამაო! უთხრა დომინიკემ, თქვენ რომ მიპატიებულ-  
ლი არა ხართ.

მართლათ, უთხრა ლაცონტენმა, შეუსაფერი იქნება  
იქ წასვლა.

მე თავის დღეში არ მინახავს ლასაბალიერის ქალი და  
უუქანს პოეტები. ხომ უნდა გავიცნოთ როდისმე. და ის  
არა ჭსჯობს, რომ დღესვე — ამასთანავე გუშინდელს  
აქეთ არა მიჰამიარა და კვუდები შიშილიათ.

ამ შერეულებამ მაშაცობისა და სულ მარტიობისამ სა-  
კმაოთ შეაძწუნა მოკრუა.

კიდევ უხდა ეთქვა რამე მას ლაცონტენისათვის, მაგ-  
რამ იმას კიბუ ქქინდა ჩამოკლილი.

დროსედ სავარლებო, უძახდა ის კიბიდგან. მეტი  
დონე აღარ იყო, უნდა გაჭეოლოდენ თან.

მაშინ მოკრუამ სთქვა, მართალია ლასაბალიერის ქალს  
ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, რომ მას ძრეულ სურს მისი  
ნახვა, იმან იცის, რომ ლაცონტენი არის უხიკი კაცი  
მოკლს საფრანგეთში, ის ქალი ისევ კეთილი და ჭკვანია  
რომ სინარულით მიიღებს მას, ისე როგორც ესაა არის  
ლაცონტენი. მაგრამ მე მაინც კელს ვიბან ამ საქმისა-  
თვის,

ნახევარ საათის შემდგომ მოკრუა და ზღაპართ მწერა-  
ლი ისხდენ ლასაბალიერთან თუთ ბრწყინვალე და უმაღ-  
ლეს სასოგადობაში,

დომინიკე გამობრუნდა შუა გზიდან, მაგრამ ლასაბა-  
ლიერმა იმასაც გაუგზავნა კაცი მიპატიებობისა.

ლაცონტენმა აღარ დაუცადა, რომ ის მეგობარს იმი-  
სას წარედგინოს სახლის პატრონთან. მტკრიანის ტანი-  
სამოსით, კელში ვოხით, პარიკით, გაავლო ხროვა  
სტუმრებისა, მივიდა პირდაპირ სახლის პატრონთან და  
მძიმეთ თავი დაუგრა ისე, თითქო ყოველდღე ენახა ის იმას

ოცის წლის განმავლობაში.

მოკრეს ივდა ამ დროს კუნსტულის გაცუთლებული და გაწაილებული. მაგრამ ვითარცა ჭკვანმა ქალმა, განამართლა მადლობა მოკრესი და იყო აღტაცებული მარტივის ქცევით და მიმოხვრით ლადონტენისა. მან მადლობა უთხრა მოკრესს, გამოართვა ჯერსათ კელი ლადონტენს და წარუდგინა თავის სტუმრებს, ასე რომ სლავართ მწერალი შეიქნა სავანად სასოციალმუსეუმადღებლისა,

იცინა მრავალთა, რომ ლასბაღიერი იყო უპირველეს ქალთაგანი ლუდოვიკ მეთოთხმეტისა საუკუნოადას, რომელმაც, (ესე იგი საუკუნოებაში) აწარმოვა იმოდენი კვლევება და ჩინებულება.

ის იყო ყმაწვლი ქალი, ლამაზი, მსწავლული და ჭკვანნი და იმის სახელში ხშირად იურიდენ თავსა ჩინებულნი კაცნი იმა დროადასანი: დიდ-შემქმლენი, მწერალნი, არტისტები, ჭკვანნი ქალნი, უცხო ქუჩების მოგზაურნი და სხვანი.

ამ დღეს სხვათა შორის იყვნენ შეკრებილნი: მოდიერი, რომელიც მივარდა ლადონტენსა და დაკონსა, ბუალო, რომელსაც თან მიეყვანა რასინა; ძუჭლი კორნელი, რომელიც ბრწინავდა არა ნაკლებ ჩუჭნის ზოეტისა, ჭკვანნი კაცნი რამბულიეს სასტუმროდამ, და მსწავლულნი ბურგონის სასტუმროდამ, რამდენიმე მარკიზი და გრაფი და უპირველესნი მშუჭნიერნი ქალნი მარედგან,

ლადონტენი ჰკითხავდა პირდაპირ ყველას და თუთუკულს ცალცალკე ვერსალის ანბავსა, კოროლისასა, ლავალიერისასა და საკუთრად ჭეჭესას.

მაგრამ როდესაც ის წარმოართქვამდა ხოლმე ჭეჭესს სხელს, სახე ყველასი ყვითლდებოდა და ტუჩება გვეუბნებოდათ.

იმ დროს ჰოვტი გვანდა ბაშესა. რომელიც კომანდუ-  
ბა ტყველსა. არავის სურდა იმ თამაშში გარეუღიყო.  
ამ დროს მოუწოდეს ყველა სტუმრებს საუსმისკად, რომ-  
მელმაც მოასპობინა იმას ეს განმეორებანი.

ლაჭინტყენი დასკეს ორს მშუტნიერს ქალს. შუა, რომ-  
ელსაც ხან ერთს და ხან მეორეს ხშირად ჰკითხავდა იყა-  
კით თქვენ ვინ ციხე დაბინაშა? არ იცით, როდის  
მობრუნდება კოროლი მარლიდამ და ან როგორ გადაწ-  
ყდა ჭუგუეს საქმე?

ისინი იმასევე არავითარს პასუხს არ აძლევდნენ და  
მაშინ ლაჭინტყენს საუსმის განაკუთვამდის ხმა აღარ ამო-  
უღია. — მაგრამ თვალი ყველასი იყო მიქცეული ლაჭინ-  
ტყენზედ; ყველა უერებს ატყუნებდა, უნდოდით გაეგონათ  
რამე მისგან, მაგრამ ყველანი შემცდარნი იყვნენ იმ დროს  
ამიტომ, რომ იმისი პირი იმ დროს გაიხსნებოდა სოღმე  
შოლოდ სკუმელისა და სხსმელისათჳს.

ბოლოს, როცა ხელი მოიტანეს, მან იწყო ლაპარაკი,  
მაშინ სხუანი ყველანი დასუმიდნენ, რომ არც ერთი სიტ-  
ყუბა არ დაეკარგათ იმის ჭკუანის ლაპარაკიდან. უ. უ.  
უთხრა მან, მე მინდა თქვენს ყველას მოგვით ერთი სა-  
ჭირო კითხუბა.

ყველას ეგონა, რომ ეს კითხუბა შეესებოდა ანუ სიტყუ-  
ერებს ან კრიტიკას და ან ქალების ქებას.

არა ვინ იცის თქვენგანმა, თუ როდის მობრუნდება  
კოროლი მარლიდამ და რასევე შედგა ჭუგუეს საქმე?

საწყვალს ლაჭინტყენს აღარ ახსოვდა, რომ ეს კითხუბა  
ათჳერ მისცა ცალკე თუთუეულს სტუმარს.

ბოლოს ყველანი მოვიდნენ განცვივრებაში; მოკრეამ  
ჯაკრით ენა დაიწყო. დომინიკე შეწყუბით გაწითლდა.  
სტუმრები უეუერებდნენ ერთმანერთს და არავინ პასუხს  
არ აძლევდა კითხუბასკად. შოლოდ ლასხალიერმა და მო-

დღეგრძე შეხედეს ერთმანეთს და გადმოუგონათ მათ თუალოდამ ცრემლი შეწყვლებისა და მონაწილეობისა. და ამით ყველაფერი გათავადობდა, თუ რომ ორს ემაწვდეს კაცს უცხო ან დაეწყოთ ხარხარი.

უ. უ. მე არა მგონია, რომ აქ იყოს რამე საცინელი, უთხრა ლაქონტენმა.

ამ ემაწვლო შერცხვით, ძინს დაიწყეს ყურება, და სხელები პატოვისტყმით უფურებდნენ პოეტსა, რომელიც იმ წამში სწანდა რაღაც დიდებულათ და წარმოსადგენათ.

კვ ჰტაკს შენ მიზანტროპსა (მიუგარებელს) უთხრა ლასახალიყრმა მოღიერსა, და გამაგრა ლაქონტენი ერთის შეხედვით, რომელიც სასუ იყო მონაწილეობათ.

ვინც ლაპარაკობს ძეგვეხედ, განაგრძო ზღაპართ მწერალმა, მან უთავოთ უნდა ჰქოვოს მასხუნი ყოველს გუჯში. სუ თუ იმას, ვინც რომ ყველას კეთილის შეყოფი იყო, როდესაც იყო სწავლს ბედნიერებაში. ჯარ დარჩენია ჯარც ერთი მეკობარი, როდესაც იგი ჩავარდა უბედურებაში?

ამობენ, რომ ვითომც ის იყოს შენაშნული სხუა და სხუა გარდახდომილებაში, მაგრამ ამას ანობენ იმის მტყენი, ვინ თქვენსგანი არ მეთანხმება მე, რომ უ. ძეგვე უბრალოა ყველა საქმეში?

ამ სიტყუებზედ ყველა ათრთოლდა; კვრანთ, რომ აქ წიგოდა გველი — კოლბერი. თუთ უშიშარნი სტუმრებში გაყვთლდნენ და მდუმარებდნენ.

რას განუმეებუხხართ. ეუბნებოდა მათ ლაქონტენი, თქვენს გეშინიანთ მართლ მსაფულობისა? უნდა გეშინოდეთ არა იმისი, არამედ უსამართლოებისა და ცდილობდეთ სიმართლის ხმითა არ მიუშვათ კოროლი უსამართლოებაშიდინ.

მაშინ თითონ ლასახალიყრიც შეშინდა, არა მიმხედი

მისა, რომ იგი სწოლობდა ჰოეტსა, და ცდილობდა ყო-  
ვლის დონით მოეწყეტა ეს ლაპარაკი, მით რომ მაიწვიას  
წინათასში სტუმრები, რომლითაც ისარგებლეს ბევრმა  
და გავიდნენ კარში.

უ. უ. თუ თქვენს ჩემათა ხართ, განაგრძო ლაცონტენ-  
მა, მე მაინც არ დაჰრეშდები. მე ვეცდები დავიცვა ჭუკუე  
წინაშე კოროლისა, სასახლისა საფრანგეთისა, და წინაშე  
მთელის ქვეყნისა, და გამოვიდებ მისთვის თავსა ჩემებუ-  
რათ: ცრემლით, კაღმით.

ამ დროს ლაპარაკი მისი იყო ისე მშუტნიერი და  
ძლიერი, რომ ვეელანჯდ იმოქმედა მან.

მე თქვენს წელან მოხოვეთ ლექსები, განაგრძო ლაცო-  
ნტენმა, აი იხუბო, მე თქვენს წავიკითხნათ ლექსებსა,  
რომელიც მე წუხელს დაესწირე გესმა. ისინი არიან და-  
წერილნი იმ თვესებზედ, რომელნიც სცურავდნენ მშუტნი-  
ერათ ვოს ციხე დაბანსში. სადაც ჩვენს ვეკლამ განახეთ  
დიდება ჭუკუესი და ხმითა, რომელშიაც ისმოდა გრძნობა  
კითილშობილებისა, მან წავიკითხა კლეკია (საგლოკუელნი  
ლექსნი), რომელიც უკვდავ ჭეოფდა ლაცონტენსა, ვითა-  
რცა კაცსა და ვითარცა მოლექსესა,

«აღაესეთ ჭეური გოდებათ თუსთა ღრმათა ამოქვანულ-  
თა შინა! სტიროდეთ ნიმქნო ვოს ციხე დაბანსისაგ!  
დაქციეთ ცრემლის ნაკადულნი! აღლუკებულმა ანგელმა  
აოხროს საუნჯენი, რომლითაც ქლორმა განამშუტნა  
მისნი კიდენი! არავინ არ განვიცხავს თქვენთა უმანკოთა  
ცრემლთა. ძაღვისძთ თავისუფლათ გამონატვა თქვენისა  
მწუნარებისა. ვეკლავ ელის თქვენგან აღსრულებასა ამა  
კითილშობილურის ვალისასა; სვე კმაყოფილია. ამიტომ  
რომ ორონატი უბედურია».

ორონტის სახელს ქვეშ ის გულისხმობდა ჭუკუესა.  
რადგან დომინიკე უკვეთ იცოდა ლუდოკოე მეთოთხმეტეს.

სახიათი. ვინემ მისმა მამამ. ამიტომ ურნია მას, რომ სახივარი ნიძეებთა უოფილიყო იგავით თუნიერ ამა გაბრთხილებისა, მას არ შუქდლო თუნი ვლევია გამოცხადებისა საზოგადოებაში, და არც შეიქნება ღირსი ლუდოვიკისა ვურადლებისა.

უ. დასახალიერმა ყველანე ბირველათ დაუგრა ტაში, სტუმრები შეუდგენ მას მაგალითს, ამიტომ რომ სახელი ტუქისი ოსტატურათ იყო იმ ლექსებში დამალული.

«თქვენ დიდხანი არ არის ნახყო, თუ როგორ ის თქვენ ფეხქვენს უსიძრათ, საესე ბრწუენვადებითა და დიდებთა მიიღებდა შატვიისცემათა მოკუდავთაგან. ოჭ ახლა იგი დავცა იმ ბედნიერის სიმაღლისაგან! ეხლა იმას ვუვარცხი იცნობთ თქვენსა. მისთუხ მძუენნიერნი დღენი «შეიქმენ ბნელ დამეთ. წვადების ზრუნვა მწუხარება, ესე ბოროტნი სტუმარნი მისის სამწუხარო საცხოვრებელისა, ვოველს წამს ავდებენ მას უფრსეულსა შინა ბოროტებისა. ამ გვარი ჩვილი ხშირად იმის დიდ შემეობილ ვალატათ შინა! იქ სავათ არის ხოლმე დაუდგრომელობა ბედნიერებისა. მისი მოღალატენი, მოწყვლებანი, მაცრამ ვოველსევე კაცი ჭსტნობს გვიან. როდესაც კაცი მაფრინავს იმ ზღუაში გაშლილის იალქნებით იმ ფიქრით, რომ მას თათქო ეწევა ზურგებრიცა და ვარსეულენიც. მაშინ მნელათ შეუძლიან ფულობდეს თუხთა სუფილთა. თუ ბძმენი იმ დროს იძინებს განდევნებით ქარანეუდ (ზეჭირი) მინდობილი; აროდეს დეიბიერი ბედნიერებისა არ უდებს სასეღუარსა თუხსა სარბიელსა; არ უფურებს. მას სტოების უვან; და ამო სიყფარული ვატვიისა და ვილდობისა შორდება მას მაშინ, როდესაც სრულიად ახადგურებს. ხუ თუ ჩინებული მატალითნი ოსტორიაში არა სავათ არიან ვარდა ორბნტის დაღუჭვის? ოჭ რა სიამოვნებით იგი იცნოვრებდა.

«უკეთო ყაღბს სიტკობებს არ მიუნიდა იგი და დასჯუ-  
 «რებოდა ცხოვრების იგი თავის ციხე დაზნასში! თუ  
 «რომ არ ეუღლებოდა ბრწვინვალენი მსლეტელნი, (სუტა)  
 «ბროკა კაცთა, რომელიც ლეღვის მსკაცესად მოამდინარე-  
 «ობს ხშირად მხის პატეისაცემლათ, მას ნაცვლად მის მო-  
 «წყალება ცისა მასცემდა განსკენებს, ჩრდილოსა და მუედ-  
 «რობებს, ეგროვე აუშფოთებელს ძილს. უმანკო საუბარსა,  
 «დიდ სასოგადობაში არ აწებობენ ამდონი კეთილნი  
 «და ამ გვარნი ბედნიერებანი...»

გელახლად დაიწყეს ტაშის კება, ყოველივე შეიტკვალა  
 ამ სამაგალითო თხზულებაში. ლაცონტენი იყო არა თუ  
 მშუტნაირ მეტეწქელი, არამედ ოსტატი მის წერილში.  
 ეს მეგობრული აჯვარება ჭეშმარიტია ჭუკუს ქვეათა,  
 ეს მსუბუქი სასჯელი მისის ამპარტაგნებისა, ღრმა, სულ  
 მარტივი ფილოსოფია, რომელიც ამართლებდა დასუღე-  
 ბასა პირუჭლის კარის კაცისასა, შემძვრელი სურათი  
 ბედნიერებისა, რომლისაც ზოგნა შექმლო მფლობელსა  
 დიდის ციხე დაზნასისასა და რომლისაც ჰატიკება, ლუ-  
 დოვიკს შექმლო ერთი ლექსით. ყოველმა ამან შესძრა,  
 ზოეტნი, მდიდარნი, არტისტნი, და სხუანი, რომელნიც  
 გარე ვხუენ დასაბაღიერს.

ეს არც ეხოზია და არც ქედრი, აღტაცებით სთქუა  
 მოღვირმა, ეს არის სწორეთ ზინდარი, გორაცი, ვირ-  
 გალი, (ხანებულნი მწყრადნი).

ლაცონტენმა გაათავა ლაცხები.

«გარნა დაუტევოთ ეს აზრები, ორონტი მიგიწოდთ  
 «თქუენს, თქუენს ნიმძნო, რომელთაც საცხოვრებელი მსკე  
 «შეგიძვოთ მან, თქუენ დაგაღიანებულნი მისგან თქუენის  
 «ბიტურეთ, თუ რომ ლუდოვიკი მოვიდეს თქუენს კი-  
 «დეხედ სასიარსოთ, ენადეო მოწყალე ჭეოთ ისა; მას  
 «წყუარს ქვეშეღამინი, ის სამართლიანი და ბრძენია;

«შთაჯიშინეთ მას ხურგილი, შეიქნეს შემწყალბედი, რომლითაც კაროლები ემსჯავრებიან დიქრთებსა. გაიხსენოს იმან ცხოვრება სულგრძელის გენრისისა (კელმწიფისა) შეგანეთ ღუდოვიკს ესრეთივე სიკეთილე. ძღვეს სჯუთნარის გულისა არის უნარკელესი ძღვეს. ესლა ორონტი აქნდა იუოს საგნათ სიბრალულისა. თუ რომ ბრმათ მიქნდალბდა თავის ბედნიერებას და შემძლებლობას, იგი საკმათ დასჯიდ არის. უბედურებას აქნს სრული სიმრთელე შეწყალბასჯედ.»

აქ ტ.მს კი აღარ უგრავედენ, სტიროდენ ყველანი ლაქონტენთან.

ვერ ისევ ყველას თავლები ჰქონდა ცრემლით სოველი, რომელსაც ერთი მშუქნიერი კაცი შემოვიდა ოთახში,

ის იყო მარკინი ლაქარ, მეგობარა დასახალიერისა.

ის მოვიდა შირდაშირ ვერსადამ, და ლაქონტენმა მისცა მას მაშინვე თხრა კითხვა: მობრუნდა კაროლი, თუ არა მარლიდამ?

ორი სჯათი იქნება, რაც მობრუნდა, მოჰგო მარკინმა. მე დავშორდი მისის დიდებულების სვიტას ვერსადის სასახლის წინ.

ძლივს! დაიძახა სიხარულით ლაქონტენმა, ესლავ გავიტყვი და დავტყმა კაროლის წინ!

მერე შეხიშნა რა მღელვარება ყველას სასეკედ და ცრემლი ქალების თავლებში, უთხრა კეთილშობილთ თხრთა ამხანაგთა: უ. უ. ვინც სტირის ძეგვესჯედ, ის წამომეუწება თან მის სამეფლათ. თქვენს ჩემსედ უკეთ იცით გზა კაროლის გულისა და ტახტისა, ანა ვინ თქვენგანი მიჩვენებს მე იმ გზას და მით მომტყმს მე ბედნიერს შემთხვევას წაუკითხა მას დიდებულებას ლექსები?

მე, თუ შეკველ, უთხრა მარკინმა გაუამ, განდებებუდმა მოღაერისა და რასინისაგან.

სხესანი კი ხემათ ისხდნენ.

მარკიზმა ლატონტენს, რომელსაც დასაბადიერმა უმბო-  
ყოველივე ზემოთა თავისი კარეტა.

ლატონტენი სხიქროთ ჩაქდა იმაში, ჩაისკა კაუა. მო-  
ლოერი და დომინიკე და ჩანებულმა კვიპაქმა გაიფრინა  
გერსადისაკენ.

დასაბადიერმა განცილა ლატონტენი კარებამდის, მოუ-  
უჭირა მას კელი და უთხრა: ახალს ნახვამდის. ნუ იქნე-  
ბით უიმედოთ უ. ლატონტენს! გახსოვდეთ რომ ამ წამა-  
დგას მე ვარ თქვენსი ერთგული მეტობარი.

მარკიზი კაუა იყო ის კაცი, რომელსაცაც ლუდოვი-  
კმა სთქვა: აი უ. კაუა ასწავლას რასინს სსახლის გე-  
ლოვებბს- ხალო უ. რასანი ასწავლის მას ლექსთ წერა-  
სა: ეს კარგი ღონისძიება არის რომ შეიქმნეს სურტი  
მწეალი და სურტი სსახლის კაცი.

მამსადამე კაუას არ შეეძლო აღმოუჩინა ლატონტენ-  
სისათვის სკეუთარი შექმუბა გოროჯთან მის წარდგინე-  
ბის დროს, მათ შესგდათ მოცდა მოუღი საათი. მაგრამ  
ის საათი ლატონტენმა მოიხმარა სსახრებლოთ;  
გაისწარა ტანასამოსი და მიაწერა კლევიანს რამოდენამე  
ლუდოვიკის საქები, რომელმაც მღლიერი მოაყვანა სრულს  
აღტაცებაში.

დანიშნულს საათსედ შევიდნენ ისანი მინიანს სალა-  
ში. აქ ჩუქნმა პოეტმა, რომელსაც დანახა დადი დიჯობა,  
მომსადებულება, ხროვა მტველთა, სიმდიდრე ტანსაცმელ-  
თა ანუ კაბებთ ოქრომკედით შეკერულთა. ექვსჯერ მანც  
დაჭკარვა თავისი ამხანაგები. ბოლოს მოლოერმა და დო-  
მინიკემ იპოვეს ის და აღარ იშორებდნენ თვალიდამ.

მერე სჭირო იყო დაეცადნათ, მანამ მიდგებოდა რიგი  
გოროჯთან მისვლისა. აქკი მარკიზმა კაუამ აღმოუჩინა  
მას სამდული ერთგულება, მით რომ მისცა შემთსუვეა,

ვითარცა ნაეტეს ადრე წარდგენისა სსუტისხედ. მიაწია დრომ, როდესაც მსლობლით ვორილას იღვა დატონტენა, აის ნაბაჟსედ. ლულოგივი იჭდა მარტო პრინციესებთან (მეივის ქალის შუღუბა).

მეივის შუღუბა იდგნენ როგორც სსუტის იქ მეოფნი და მართმევედნ მას ჰუნსა და ლინოსა.

ეს შაქენებდა ვოველს კაცსა გარდა ლატონტენისა, რომელიც ცოტა არ არის რომ შუკროთა.

ს:ბუღნიერთ მეივის შემკვდრემ იცნო ის და ხმა მალდა ასსენა მისი სახელი, თუმცაღა ამით ირღვევდა კარის სახსლის ეტიკეტი (წესი).

გოროლმა მოიბორუნა კრესდა; პრინციესებს მტირყო გაგნასთ და სღაპართ შუკრად ღიუჯა იმ დროს გოროლას ფეხ წან.

ლატონტენა შენ სარ? ჭკითხა გოროლმა.

სწორეთ, თქუტსო დიდებულებო. მე ვარ ლატონტენი, მტირყო მეგობარი თუთ წარწინებუღესისა და თუთ უბედურისა თქუტსის ემისა ჭუკუკი, რომელსედაც მე ესღა ვითხოვ თუთ სამართლიანს მოწუალებას თქუტსის დიდებულებას.

ამ დროს სახელის სსენებანედ, რომლისაც გამოთქმა არავის ძალედა კერსალში ორის ჭურის განმავლობაში, გოროლმა გადახედა სწყადს ლატონტენსა განკურვებით, იასედ ვერ გაუბედავდა თქმას ვერცღა შემკვდრე საფრანგეთის ტახტისა.

სრუდიად წაღაში იყო მძიმე მღუმარება. სადილი შედგა ერთს წაშის. ეველას მხედველობა მიიქტა ლატონტენისკენ, ვითარცა უგუნურსედ, რომელიც საკუთარას ნებით ვარდებოდა უფრესეულში.

გოროლმა სსტიკად გარდახედა მარკინს კაუას. მარკინმა იგრძნო, რომ იღუპვის; ფერხები კვეთებოდა.

თქვენს დიდებულებს, განაგრძნობდა ლაჭონტენი, მდგომარე ისევე მუხლზედ, მომიტყევეთ ჩემი კანდიერება: მე არ ვიცი სასახლის კტიკტი, მაგრამ ისეი ძალიან კარგათ ვიცი, რომ ჭუკუ უბრალოა, და თქვენს სულგრძელებისათ, ნუ გაუგონებთ მის მტრებსა, კელშიფევე. გაუგონეთ მხოლოდ თქვენს დიდსა და სამართლიანს გუფსა.

კმარა, უ. ლაჭონტენ, უთხრა კოროლმა წარბ-შეკრულმა, თქვენს გარდასწევტეთ დავა შორის მუხისა და ლეწმისა, საკელშიფეო საქმე მოგვანებეთ ჩვენს.

ოხ! კელშიფევე, წარმოსთქვა ზღაპართ მწერალმა, თქვენს ხართ მუხსა და მე ლეწამი. უბძანეთ დამტკრევა ჩემი წერილათ, მხოლოდ შეიწყალებთაი ჭუკუ.

კიდევ თავისას ამბობს, დაიყურა ლუდოკიკმა და უნდოდა ესინებინა, რომ გაეყვანათ ლაჭონტენი და მისი სამი ამხანაგი, მაგრამ უცაფე შედგა კოროლი, რომდესაც დანახა, რომ ცრემლი რეცხდა ლაჭონტენის შეწუხებულს ზარსა და არსა, რომელსაც აძლევდა მას აკანკალებული კელი ზოეტისა.

ეგ რა ქალაღია, ჰკითხა მას კოროლმა ალერსით. ამ ქალაღში არიან რამოდენიმე ლექსნი, თქვენს დიდებულებს, ლექსნი დაწერილნი ჩემის ცრემლით, მე მინდოდა დამეწერა ეგენე ჩემის სისხლით! დაღაღება მადლობისა და მეგობრობისა! კედრება თქვენის მოწყალებისა; მაგათ შესძრეს თვთ მტერნიც ჭუკესი, იყავით კელშიფევე მავ ლექსების უურადმებელი!

ლუდოკიკმა საჩქაროთ გასტენა ბეჭედი და ეკვლას ელოდა ამის შემდგომ ტფილს მზის შექსა და თან ქუხილსა.

კოროლმა წაიკითხა ბოლომდის ელექცია და შეხედა ლაჭონტენს განკვრებით და ღმობიერებით. უ. ლაჭონტენ, უთხრა მას ბოლოს რბილის სმით: ახლავი წადით

თქვენ შინა! თქვენ მალე სცნობთ ჭუკეს სეკსა.

გორილიც ადგა სტოლიდამ სადილ გაუთავებლათ, დაუტევა მიზატიყებულნი და სხიქაროდ შუიდა თავის კაზინეტში.

არადეს სახანლეში ამ გვარი შემთხვევა არავის სსოვს

ოჰ, დაიძახა ლაქონტენმა, ვგონებ, მე მხოლოდ განკარისხე გორილი, ნაცვლად მისა, რომ მეშუქლას რამე ჩემის კეთილის მეოფისათვის.

